ათი _ თერთმეტის წინააღმდეგ

მოსკოვის “ლოკომოტივისა” და თბილისის “დინამოს” ფეხბურთელთა გუნდების კალენდარული მატჩი, რომელიც გუშინ ლ. პ. ბერიას სახელობის თბილისის “დინამოს” სტადიონზე ჩატარდა, მეტად საინტერესო გამოდგა. თამაშის დაწყებისას გუნდები თითქოს სინჯავდნენ ერთმანეთს. დიდხანს უპირატესობა ვერც ერთმა ვერ ჩაიგდო ხელში. ამან გაანერვიულა მოთამაშეები და უხეშობა დაიწყეს. ამის შედეგად თბილისის მარჯვენა გარემარბი ჯოჯუა მსაჯმა გააძევა მინდვრიდან. სტუმრებმა ამით ისარგებლეს და დინამოელებს მარცხენა ფრთიდან შეუტიეს, მაგრამ თბილისელთა კარს ერთგულად იცავდნენ ვ. ელოშვილი, მ. ჭელიძე, ი. სარჯველაძე. ვ. მარღანიამ “მკვდარი” ბურთი აიღო.

მეორე ტაიმი გაცხოველებული ბრძოლით აღინიშნა. თბილისელებმა რიცხობრივი სიმცირის მიუხედავად აქტიურად შეუტიეს სტუმრებს. თავდასხმის მიერ გათამაშებულ კომბინაციებში რიგრიგობით დამცველებიც მონაწილეობდნენ. ერთი ასეთი შეტევისას ვ. ელოშვილი შეიჭრა მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედანზე. მოსკოველი დამცველი ოსიპოვი ბურთს ხელით შეეხო, თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დარტყმა ღოღობერიძემ შესანიშნავად გამოიყენა და ანგარიში გახსნა. ეს ბურთი გადამწყვეტი გამოდგა.

“დინამომ” ეს მატჩი დამსახურებულად მოიგო.

ბ. ქორქია.

“ახალგაზრდა კომუნისტი”, 8 ოქტომბერი, 1949 წ.